

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

3 თებერვალი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტაძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია,

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ღლონტი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. კლიმატური პირობების გამო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 თებერვლის სხდომის გადადების შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/

## 2. სხვადასხვა

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ნუგზარ ღლონტმა, ბიუროს სხდომას გააცნო თოვლის სახით მოსული ნალექების შედეგად შექმნილი მდგომარეობა. მან აღნიშნა შემდეგი: თოვა დაიწყო 2 თებერვალს ღამით და გრძელდება, გადაუღებლად თოვს მთელი რაიონის ტერიტორიაზე, მაღალმთიან სოფლებში თოვლის საფარმა ერთ მეტრს მიაღწია. ქალაქის ტერიტორიაზე თოვლის საფარი ორმოც სანტიმეტრს შეადგენს. მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები. ქალაქის ქუჩების უმეტესობა გაწმენდილია. სოფლების მიმართულებით მუშაობს ოთხი ერთეული ტექნიკა. ერთი ერთეული მუშაობს აცანა-მამათის მიმართულებით, ერთი ერთეული – აკეთის მიმართულებით, ჩოჩხათის ტერიტორიაზე მუშაობს ერთი ერთეული ტექნიკა. პრობლემებია ელექტრო ენერჯის მიწოდების მხრივ, რადგან სველი თოვლის სახით მოსულმა ნალექმა დააზიანა გადამცემი ხაზები. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ რადგან დეპუტატებს დიდთოვლობის გამო შეექმნებათ გადაადგილების პრობლემა, მიზანშეწონილია მობილიზებული იყვნენ და ყურადღება მიაქციონ მოსახლეობის პრობლემებს თავიანთ ტერიტორიულ ერთეულებში. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია 2011 წლის 4 თებერვლის სხდომა კლიმატური პირობების გამო გადადებული იქნეს 2011 წლის 7 თებერვლისთვის.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ბიუროს წევრები.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. კლიმატური პირობების გამო 2011 წლის 4 თებერვალს დანიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ნაცვლად 4 თებერვლისა გაიმართოს 7 თებერვალს.

2. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნ. ძიძიგური) საკრებულოს სხდომის გადადების თაობაზე საკრებულოს წევრთათვის შეტყობინების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტბემ კენჭი უყარა საკითხს.

**მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი**

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტბემ

საკრებულოს აპარატის უფროსი:

/ნ. ძიძიგური/

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

/მ. კეკელიძე/